



## სალომე ნოზაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის  
მეოთხე კურსის სტუდენტი  
პროექტ „DOIT“-ის მონაწილე

## წალკასა და ტაბაწყურს შორის

საქართველოში მულტიკულტურული ქვეყანაა. საუკუნეების განმავლობაში უძველესი დროიდან ქართველი ერი თანაცხოვრობდა ებრაელ, სომეხ, აზერბაიჯანელ, რუს და სხვა ერებთან.

ამ ბლოგში მინდა მოგიყვებო ჩვენი მოქალაქეების ამბები წალკიდან ტაბაწყურამდე. ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები არიან.

არ ვიცი რამდენს, მაგრამ სამცხე-ჯავახეთში მინახავს ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდები, რომლებსაც არ აქვთ უმადლესი განათლების მიღების შესაძლებლობა და ზოგს არც სურვილი. მომავალი სტუდენტების უმეტესობა ახალციხის უნივერსიტეტში აბარებს. საქმე იმაშია, რომ ამ რეგიონის ბევრი ზრდასრული ქართულად ვერ საუბრობს. ძველად სკოლებში მხოლოდ სომხური და რუსული ენები ისწავლებოდა. ბოლო წლებში კი ყველა ბავშვს აქვს საშუალება ისწავლოს ქართული. დღეს თითქმის ყველა ბავშვმა იცის ქართული ენა, სულ ცოტა – ესმის მაინც.

ზაფხულში ხშირად მიწევს სამცხე-ჯავახეთში ყოფნა სამსახურეობრივი მივლინების ფარგლებში. ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია. ბევრი მათგანი საზღავრგარეთაა წასული და იქიდან ეხმარება ოჯახს. მათი შემოსავალი არის კარტოფილი, ყველა ოჯახს თავისი მიწის ნაკვეთი აქვს და მოყავთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ოჯახის ყველა წევრი და მთელი სანათესაო ერთად მუშაობს ნაკვეთში, ერთად აგროვებენ თივას, იღებენ კარტოფილის მოსავალს. მათი ერთსულოვნება ხშირად მაკვირვებს კიდევ. ერთერთ სოფელში ცხოვრობს ღრმად მოხუცებული ბებო კატიუშა ქმართან ერთად. მათ სახლში რომ შეხვიდეთ, მუზეუმი გეგონებათ. 1945 წელს

აუმენებიათ სახლი, ჯავახურ სტილშია სახლი მოწყობილი. კატიუმა ბებოს საკუთარი ხელით მოქსოვილი ხალიჩები აქვს სახლში. ძველებურ სამინებელ ოთახში საწოლი შემადლებულ ადგილასაა.მათ სახლში ბევრი წიგნი აქვთ, და ასევე უზარმაზარი ძველებური კალკულატორი. მათი ვაჟი ახალციხის უნივერსიტეტში მათემატიკის ლექტორია. განათლებული ხალხი იყვნენ თავის დროზე.

ამ რეგიონში სომხები ოსმალეთიდან XIX საუკუნის პირველ ნახევარში გადმოსახლდნენ. რუსეთის სამეფო კარის თახმობით, 10000 ოჯახის ნაცვლად ჩამოსახლდა 95000 ადამიანი. ისინი იბრძოდნენ ოსმალების ხელისუფლების წინააღმდეგ, რუსეთის მხარეს. რუსეთის მთავარი მიზანი ეთნიკური სიჭრელის შექმნა და ხალხს შორის დაპირისპირება იყო. დღეს კი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები არიან.

ასევე საინტერესოა ეთნიკურად აზერბაიჯანელების ცხოვრება. მათი ინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთი სერიოზული ბარიერი სახელმწიფო ენის არცონდაა. მათი საქმიანობის ძირითადი სფერო მეცხვარეობაა. არის ოჯახები, რომლებსაც ათასობით ცხვარი ყავს, ზაფხულში მთელი ოჯახი მიდის ჯავახეთის მთებში, ტაბაწყურის ზემოთ.



აუმენებენ „პალატკის“ ოთახებს და მთაში ცხოვრობენ , გაუსაძლის პირობებში. იქ დაახლოებით სამი თვე რჩებიან. თითქმის არცერთი მათგანი არ ლაპარაკობს ქართულად. ბავშვები სკოლაში არ დადიან. მთაში მიდიან ძველი სატვირთო მანქანით. თან მიაქვთ საყოფაცხოვრებო ნივთები.მამაკაცები ამხელა მანძილს გადიან ხან ფეხით, ხან ცხენებით, თან მისდევენ მწყემსი მეცხვარე ძაღლები. მათი შემოსავალი მცირე არ უნდა იყოს, თუკი გავიხსენებთ რომ თითო ცხვარი 100-150 ლარი ღირს. აზერბაიჯანელ მოსახლეობას სურს შეისწავლოს ქართული ენა, ჰქონდეს განათლების მიღების საშუალება, მაგრამ სამწუხაროდ დღეს მათი უმეტესობა ამას ვერ აღწევს ცხოვრების წესის გამო. ამ მხრივ ქვეყანაში ბევრი რამაა გასაკეთებელი.

